# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს



## ძვირფასო ახალციხელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!
თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.
ჩვენ მიერ წარდგენილი ახალციხის მერობის კანდიდატისა და ახალციხის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ახალციხის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.
ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ახალციხე და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.
სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# ახალციხის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 13,9 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 27,3 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტი სულ 10,9 მლნ ლარი იყო, 2021 წელს 24,5 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ახალციხის მუნიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 2 პროექტი** განახორციელა (ჯამური ინვესტიცია 2 732 952 ლარი, სახელმწიფოს თანამონაწილეობა 1 110 376 ლარი). 2018-2021 წლებში, პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“** მხარდაჭერილია 2 პროექტი (ჯამური ინვესტიცია 300 278 ლარი, თანამონაწილეობა 118 767 ლარი). 2015-2021 წლებში, პროგრამით „დანერგე მომავალი“ 24 ჰექტარზე განხორციელდა 12 პროექტი (ჯამურად 246 926 ლარი). **აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, 837 ჰექტარი დაიზღვა (მოსავლის ღირებულება 8 155 096 ლარი), რითაც ისარგებლა 383-მა ბენეფიციარმა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 374 477 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 60 კოოპერატივი (460 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 1 511 410 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტის** პროგრამით ფარგლებში, 2013-2021 წლებში, ჯამურად 23 249 383 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 3 541 841 ლარი), რითაც 444-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 8 პროექტი (ჯამური ინვესტიცია 260 246 ლარი, თანადაფინანსება 94 411 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოები**, 2013-2020 წლებში, 2 698 977 ლარით დაფინანსდა, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0-დან (2013 წელს) 542 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

**2020 წელს ამოქმედდა 2 სახელმწიფო პროგრამა: მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით** 29 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 933 053 ლარი, თანადაფინანსება 693 791 ლარი). **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** განხორციელდა 2 პროექტი (ჯამური ინვესტიცია 79 850 ლარი, თანადაფინანსება 39 925 ლარი).

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია (თურქულის, ჯილეხის, ბრუცელოზის, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის, ცოფის საწინააღმდეგოდ), ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

**მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეულ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**

**ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**

**2024 წლისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 8 105 ჰექტრამდე ზრდა.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.** ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“** ახალციხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 6 საწარმო. ამ საწარმოებში განხორციელებულმა ინვესტიციამ ჯამურად 6 736 500 ლარი შეადგინა, დასაქმებულია 81 ადამიანი.

**პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 2 სასტუმროს მშენებლობას (ჯამური ინვესტიცია 985 570 ლარი), სადაც დასაქმდა 16 ადამიანი, ხოლო ჯამურად ახალციხის მუნიციპალიტეტს 31 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა.

**მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 2 954 110 ლარის გრანტი გაიცა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 3 999 088 ათასი ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 435 პროექტი, მათ შორის არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 242, ხოლო ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 193 პროექტი.

**მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტებისა თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**

**ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**

**წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.** ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2014-2021 წლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, **აშენდა** 2 ჰიდროელექტროსადგური (ფარავანი ჰესი და დვირულა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 88,53 მეგავატს შეადგენს, ხოლო წლიური გამომუშავება – 420 მლნ კვტ/სთ. **მშენებლობის ან ლიცენზირების ეტაპზეა: მტკვარი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 53 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 230 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 115 მლნ აშშ დოლარი); **ახალქალაქი ჰესი** (დადგმ.სიმძლავრე 7,5 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 39,2 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 20 მლნ აშშ დოლარი); **ახალქალაქი ჰესი 2** (დადგმ. სიმძლავრე 1,6 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 9,8 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 5,5 მლნ აშშ დოლარი); **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა: ანდეზიტ ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 1,1 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 4,3 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 1,6 მლნ აშშ დოლარი); **ტაშისკარი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 0,9 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 6,9 მლნ კვტ/ სთ, ინვესტიცია 1,5 მლნ აშშ დოლარი); **პლატო ჰესი-ბორჯომჰესი** (დადგმ.სიმძლავრე 11,8 მეგავატი, სავარაუდო გამომუ-



ქალაქ ახალციხეში, ხელოვნური ტბის მიმდებარედ, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

შავება 43,3 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 13,6 მლნ აშშ დოლარი); **არაკალი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 1,9 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 14,1 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 3,7 მლნ აშშ დოლარი);

ახალციხის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 3207 აბონენტი. 2022-2023 წლებში, იგეგმება 7 სოფლის (საყუნეთი, წნისი, აწყური, კლდე, ტყემლანა, ზიკილია, აგარა) გაზიფიცირება (დამატებით 1827 აბონენტი). 2013-2017 წლებში 4,527 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განვითარების მიზნით, ახალციხის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა** რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. ამჟამად მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევის პროექტი.

ახალციხეში დამონტაჟდა ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები, საინფორმაციო საორიენტაციო შინაარსის სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებულია რუკა და ინფორმაცია ახლომდებარე ტურისტული ადგილების შესახებ; ქალაქში დამონტაჟდა ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებლები.

**დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:** აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაცია, აწყურის ციხის რეაბილიტაცია, თისელის წმინდა გიორგის გუმბათოვანი ტაძრისა და თისელის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაცია, ბიეთის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაცია, აგარის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

**„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის, ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**

**2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია. 2021 წელს შეიქმნა **ერუშეთის ეროვნული პარკი,** რომელიც მოიცავს ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებს, მისი საერთო ფართობია 1 385 ჰექტარი.

2017 წელს მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია** და მომზადდა ტყის მართვის 10 წლიანი გეგმა. 2012 წლიდან მიმდინარეობს ნაძვის ხმობის გამომწვევი მავნე მწერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ფერომონიანი მწერსაჭერების გამოყენებითა და სანიტარული ჭრებით. 2013-2020 წლებში, ადგილობრივ მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 108 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.**

**სამომავლოდ გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;**

**გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**

**გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება და ეფექტიანობის ამაღლება, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით („ცხელი წერტილების“ კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით და სხვა);**

**გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**

**ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ახალციხეში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 32 მლნ ლარამდე დაიხარჯა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 944 მილიონი ლარის კომპენსაცია გამოიყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, ახალციხის 11 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 1 374 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, ახალციხეში, **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 6 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. 2021-2023 წლებში, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, დამატებით 13,5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. ახალციხეში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი წყალმომარაგების პროექტები: ქ. ახალციხის ცალკეული უბნებისა და მიმდებარე სოფლების (მინაძე, ჭაჭარაქი, ივლიტა, „აბის დასახლება“) წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-განვითარებისა და ახალციხის სერვისცენტრის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობის პროექტის სახელმწიფო შესყიდვა (8 447 986.00 ლარი); ქალაქ ვალეს წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები (5 196 401.00 ლარი); ქ. ვალეს სატუმბი სადგურის ელექტრო-ტექნიკური სამუშაოების შესყიდვა (265 000.00 ლარი).



## 2021-2022 წლებისთვის, ახალციხის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. წნისში სატუმბი სადგურის და სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია – 151 062 ლ;
- ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. №124-ში არსებული ორსართულიანი შენობის (ახალგაზრდული ცენტრი) რეაბილიტაცია – 342 320 ლ;
- ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. №124-ში შენობის (სპორტული კომპლექსი) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია – 1 270 000 ლ;
- ქ. ახალციხეში ხელოვნური ტბის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის, მისასვლელი გზის და პარკინგის მოწყობა – 1 882 205 ლ;
- სოფ. მუგარეთის სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენის მოწყობა – 823 238 ლ;
- ქ. ახალციხეში, ხელოვნური ტბის ტერიტორიაზე არსებული შადრევნების რეაბილიტაცია – 205 664 ლ;
- ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. №124-ში არსებული სამსართულიანი შენობის რეაბილიტაცია – 576 471 ლ;
- სოფ. ურაველის სასმელი წყლის შიდაქსელის რეაბილიტაცია – 379 104 ლ;
- ქ. ახალციხეში ხელოვნურ ტბაზე საფეხმავლო და ველობილიკების მოწყობა – 394 593 ლ;
- ქ.ახალციხეში, რუსთაველის ქ. №124-ში არსებული ყოფილი კლუბის შენობის რეაბილიტაცია – 1 394 587 ლ;
- სოფ. სხვილისის სარწყავი წყლის სისტემისა და სატუმბი სადგურის (ე.წ ფარეხას) რეაბილიტაცია – 628 800 ლ;
- ქ. ახალციხეში, გამსახურდიას ქ. მიმდებარედ არსებული სასაფლაოს მისასვლელი ს/გზისა და სოფ.წყრუთის შიდაგზის მოწყობა-რეაბილიტაცა – 255 610 ლ;
- სოფლებში – ყულალისი, ჯულღა და მუგარეთი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 166 922 ლ;
- სოფ. ანდასა და დიდ პამაჯში შიდაგზების, ორალში სანიაღვრე არხისა და შიდაგზის მოწყობა-რეაბილიტაცია – 246 041 ლ;
- სოფ. სვირსა და ბოგაში ს/გზის რეაბილიტაცია – 249 234 ლ;
- ქ. ახალციხეში, კეცხოველის ქ. №6-ში მდებარე სამხატრო სკოლის რეაბილიტაცია – 294 998 ლ;
- სოფ. საყუნეთში სასმელი წყლის შიდაქსელის რეაბილიტაცია – 82 489 ლ;
- სოფლებში: ჭაჭარაქი, მინაძე, ურაველი, წყორძა, ხეოთი და ღრელი გარეგანათების მოწყობა – 79 900 ლ;
- ქ.ახალციხის ქუჩებისა და სოფ. აგარის, ფერსის, კლდის, ჭვინთის, მუგარეთის გარეგანათების მოწყობა – 98 880 ლ;
- სოფლებში: აბათხევი, დიდი პამაჯი, პატარა პამაჯი, ორალი, წირა, სხვილისი, ყულალისი, წყალთბილა და ჯულღა, გარეგანათების მოწყობა – 88 498 ლ;
- სოფ. წინუბანში, ყულალისსა და ორალში შიდა ს/გზების რეაბილიტაცია – 96 356 ლ;
- სოფ. ხაკსა და ტყემლანაში სასმელის წყლის სისტემის, სოფელ ხეოთში სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია – 55 027 ლ;
- სოფ. ზიკილიასა და სვირში შიდა ს/გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია – 84 800 ლ;
- სოფ. აბათხევისა და წყალთბილას შიდა ს/გზების რეაბილიტაცია – 85 256 ლ;
- სოფ. აგარაში შიდაგზების, თისელში ხიდბოგირებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია – 91 900 ლ;
- სოფ. წნისსა და ნაოხრებში სკვერების რეაბილიტაცია – 115 235 ლ;
- ქ. ვალეში შიდა ს/გზის და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია – 132 808 ლ;
- ქ. ვალეში (ქუჩები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, დავით აღმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე) სანიაღვრე არხებისა და თამარ მეფის ქუჩაზე ტროტუარზე მოაჯირის მოწყობა – 195 711 ლ;
- სოფ. მიქელწმინდაში ს/გზის, სოფ. გურკელ-წინუბანსა და წყორძაში სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია – 68 609 ლ;
- სოფ. აწყურში სასმელი გამწმენდი ნაგებობის მოწყობა – 221 184 ლ;
- სოფ. საძელის სასმელი წლის შიდაქსელის რეაბილიტაცია – 123 508 ლ;
- ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. №124-ში ს/გზის მოწყობა – 231 273 ლ;
- ქ. ახალციხის სასაფლაოს გზისა და პარკინგის მოწყობა – 220 000 ლ;
- სოფ. სხვილისის სარწყავი წყლის სისტემისა და სატუმბი სადგურის (ე.წ ფარეხას) სარეაბილიტაციო სამუშაოები – 404,812 ლ.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ირაკლი ლაზარაშვილი: „ახალციხისთვის ბევრი რამის გაკეთება მინდა და მერობა ამიტომ გადავწყვიტე“

**ახალციხის მერობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ ირაკლი ლაზარაშვილია. მუნიციპალიტეტში მასაც კარგად იცნობენ და მის ოჯახსაც. იცნობდნენ მის ბაბუებსაც და მშობლებსაც. პედიატრმა დედამ, არაერთ ბავშვს გაუწია სამედიცინო მომსახურება. მამა კი ათიათასობით ბავშვს დაეხმარა, მოევლინებოდა ქვეყანას. პოლიტიკაში მოსვლის მთავარ მიზეზს კანდიდატი ამგვარად ხსნის: „ახალციხე ჩემი ქალაქი, ჩემი მუნიციპალიტეტია და მართლა განსაკუთრებით მიყვარს. აქ დავიბადე და გავიზარდე. ახალციხელებისგან ყოველთვის ვგრძნობ ჩემი და ჩემი ოჯახის პატივისცემას. მიმაჩნია, რომ გუნდთან ერთად, შევძლებ ახალციხისთვის ბევრი რამის გაკეთებას. მერობა სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტე“. რას იხსენებს ყველაზე ხშირად ახალციხეში გატარებული ბავშვობიდან, რატომ თქვა უარი ექიმობაზე, რატომ დაუკავშირა პოლიტიკური ბედი „ქართულ ოცნებას“ და რა გეგმები აქვს ახალციხის მერობის კანდიდატს? – ამას თავად ირაკლი ლაზარაშვილი გიამბობთ.**



დაიბადა 1983 წლის 2 ივნისს, ქალაქ ახალციხეში, ექიმების ოჯახში.

1989-2000 წლებში სწავლობდა ახალციხის ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 საშუალო სკოლაში. 2000-2004 წლებში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობით, სახელმწიფო მართვის მოხელის კვალიფიკაციით (ბაკალავრიატი); 2004-2006 წლებში დაასრულა ივანე ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სპეციალობით – ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და მართვა; მიიღო ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი; ასევე 2003-2007 წლებში დაასრულა ახალციხის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2007-2009 წლებში მუშაობდა შემოსავლების სამსახურის, რუსთავის რეგიონულ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) მთავარი ინსპექტორის თანამდებობაზე; 2009-2020 წლებში – სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს“ მომსახურების სააგენტოში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს უფროსად; 2020 წლიდან – სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული დეპარტამენტის უფროსად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– ახალციხეში, ექიმების ოჯახში დავიბადე. დედა – ლეილა გელაშვილი, პედიატრი იყო. მამა, ზურაბ ლაზარაშვილი კი – მეან-გინეკოლოგი. მყავს ჩემზე 5 წლით უფროსი და, ირინა, რომელსაც ჩემს აღზრდაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. საკმაოდ უზრუნველი ბავშვობა გვქონდა. მიუხედავად იმისა, მამას ხშირად არ ეცალა, იმ პერიოდში სადაც შესაძლებელი იყო წასვლა, გასეირნება, ყველგან დავყავდით. მოგვიანებით, იყო ავადსახსენებელი და ბნელი 1990-იანები, მაგრამ ისეთ გარემოში ვიზრდებოდი, ჩემ გარშემო იმდენი ბავშვი იყრიდა თავს, ისეთი ლაღები ვიყავით, ის წლებიც ბედნიერად მახსენდება. განსაკუთრებით გვიხაროდა, თუ ახალციხეში კონცერტი ან სპექტაკლი იმართებოდა და მის სანახავად გავრბოდით. ემოციებსაც უფრო გულწრფელად გამოვხატავდით. ეს სილაღე და სიხალასე დღესაც ხშირად მახსენდება.

**– ექიმების შვილს რატომ არ გაგიჩნდათ სურვილი, სამედიცინო ინსტიტუტში ჩაგებარებინათ და თავადაც ჩაგეცვათ თეთრი ხალათი?**

– რაღაც ეტაპზე, მშობლების პროფესია მომწონდა. მსიამოვნებდა, დედასთან ბავშვები რომ მოჰყავდათ გასასინჯად და მამასაც რომ ყველა პატივს სცემდა. როგორც მამა ითვლიდა, 20 ათასზე მეტი ბავშვი დაიბადა მის ხელში, რაც ძალიან მეამაყება, მაგრამ ექიმის პროფესია ორი მიზეზის გამო არ ავირჩიე. პირველი: ჩემი მშობლები იმდენად წარმატებულები იყვნენ, ვფიქრობდი, რომ ყოველთვის მათ ჩრდილქვეშ ვიქნებოდი და მეორე – პროტესტი მქონდა იმის გამო, რომ მამას ეს პროფესია მთელ დროს ართმევდა. საშინელი გრაფიკი ჰქონდა – სადაც უნდა ვყოფილიყავით, რა დროც უნდა ყოფილიყო, უცებ გამოიძახებდნენ და გარბოდა. არ მინდოდა, ასე მეცხოვრა.

სამაგიეროდ, მხიბლავდა ბაბუების პროფესია. ორივე ბაბუა – ფილიმონ ლაზარაშვილიცა და მიშა გელაშვილიც საკმაოდ წარმატებული ადამიანები იყვნენ და რეგიონში მათ ყველა იცნობს. მომწონდა, საქმეს რომ აკეთებდნენ და უფასდებოდათ, ხალხსაც უყვარდა. გადავწყვიტე, ეკონომიკური განათლება მიმეღო და სასწავლებლად თბილისში წამოვედი. მშობლებს არ გაუპროტესტებიათ. არჩევანში ყოველთვის თავისუფალი ვიყავი.

**– სწავლის დასრულების შემდეგ, სხვადასხვა პერიოდში საპასუხისმგებლო პოზიციები გეკავათ. საგადასახადო ინსპექციაში მუშაობა საინტერესო იყო?**

– თავდაპირველად, მუშაობა საგადასახადო ინსპექციის მარნეულის განყოფილებაში დავიწყე. რამდენიმე თვეში რუსთავში, გარდაბანში გადავედი. 2009 წლიდან კი, მუშაობა დავიწყე ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში. ჩემი ფუნქცია სახელმწიფო ქონების აღრიცხვა, გადაზიდვებთან დაკავშირებით, ყველა საჭირო ტექნიკური საკითხის მოგვარება, გასაყიდად თუ გასანადგურებლად ქონების მომზადება და აღსრულება იყო. საკმაოდ საინტერესო საქმიანობაა, არაერთ ადამიანთან გვიწევდა ურთიერთობა.

**– თუმცა, იმ პერიოდში, ალბათ სირთულეები იყო თავად სისტემაში. მოგვიანებით განხორციელებულ საგადასახადო რეფორმას დადებითად აფასებთ?**

– მართლაც, ისეთ პერიოდში მომიწია მუშაობის დაწყება, როცა ქვეყანაში საგადასახადო კულტურა არ არსებობდა. მუშაობის პროცესში ადამიანები უკმაყოფილებასაც ხშირად გამოთქვამდნენ ჩვენი საქმიანობის გამო. ჩვენ ოფიციალურ ბრძანებას ან სასამართლო გადაწყვეტილებას ვასრულებდით. ყოველთვის ვუხსნიდი მათ, როგორ უნდა ემუშავათ და რა ვალდებულებები ჰქონდათ. შედეგიც კარგი გვქონდა. რაც შეეხება რეფორმას, ნამდვილად სწორი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით, რადგან დღეს გადამხდელი ბევრად განათლებულია და იცის, როგორ იმუშაოს. საგადასახადო კულტურაც ამაღლებულია.

**– დღემდე ამ მიმართულებით მუშაობთ. 2020 წლიდან ქონების ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული დეპარტამენტის უფროსი ხართ. პოლიტიკური აქტივობით აქამდე არ გამოირჩეოდით და ახალციხის მერობა რატომ გადაწყვიტეთ?**

– პოლიტიკური აქტიურობით არასოდეს გამოვირჩეოდი. „ქართული ოცნების“ მიმართ ჩემი სიმპათია გაათმაგდა, როცა ეს გუნდი ხელისუფლებაში მოვიდა. ჩვენთანაც შეიცვალა ხელმძღვანელობა, მაგრამ არავის შეუვიწროებივართ, არავის გამოუშვივართ სამსახურიდან. კითხვებიც კი არ გასჩენიათ იმ ადამიანების მიმართ, ვინც წლების განმავლობაში, უბრალოდ, პატიოსნად ვასრულებდით ჩვენ მოვალეობას.

შეიცვალა კანონმდებლობაცა და მიდგომებიც ყველა მიმართულებით. ახალციხე, ჩემი ქალაქი, ჩემი მუნიციპალიტეტია და მართლა განსაკუთრებით მიყვარს. აქ დავიბადე და გავიზარდე. ახალციხელებისგან ყოველთვის ვგრძნობ ჩემი და ჩემი ოჯახის პატივისცემას. მიმაჩნია, რომ გუნდთან ერთად, შევძლებ ახალციხისთვის ბევრი რამის გაკეთებას. მერობა სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტე.

**– და რა არის ეს „ბევრი რამ“, რა სჭირდებათ დღეს ახალციხელებს და თქვენ რა გეგმები გაქვთ?**





– პირველ რიგში, ახალციხეს ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა სჭირდება. რელიეფის და მდებარეობის გათვალისწინებით, აქვს იმის პოტენციალი, რომ მოხდეს ფუნქციური ზონირება და არა მხოლოდ საქართველოში, ევროპის მასშტაბითაც ერთ-ერთ წარმატებულ ქალაქად იქცეს.

დღეს ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, წყალმომარაგებაა. ამ მიმართულებით მაქსიმუმს გავაკეთებ. აუცილებელია კულტურული მიმართულების განვითარებაც. ჩემი სკოლის ეზოში უნიკალური შენობაა – სამუსიკო სკოლა, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას.

კულტურის სახლი კეთდება, მაგრამ სურვილი მაქვს, ახალციხეს ჰქონდეს ხელოვნების ცენტრი. უკვე დაწყებულია 11 მილიონიანი პროექტი და დიდი აუზი შენდება, მაგრამ ზოგადად, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაც აუცილებელია. ასევე, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ის, რომ ქალაქს არ აქვს მწვანე სივრცე. მაქვს სურვილი, შევქმნათ ქალაქის ცენტრალური პარკი.

მსურს, განხორციელდეს ქალაქის ულამაზესი და უძველესი შენობების ფასადების შეკეთება/რესტავრაციაც. ქალაქზე ვსაუბრობ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველა სიკეთე, რაც ახალციხეში იქნება, სოფლების მაცხოვრებელთათვისაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა, მაინც პრობლემად რჩება სოფლიდან ქალაქში მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ამ პრობლემით აუცილებლად დავინტერესდები, რადგან ადამიანებს ქალაქში ჩასვლის ან ბავშვების სხვადასხვა გასართობ, სპორტულ თუ შემეცნებით ღონისძიებებზე ჩაყვანის პრობლემა არ უნდა ჰქონდეთ. უნდა გადაიჭრას წყალმომარაგების, სარწყავი სისტემებისა და გაზიფიცირების საკითხი, რაც უკვე დაწყებულია.

ახალციხე საკმაოდ ძლიერია სოფლის მეურნეობის მიმართულებით, მაგრამ ეს სფერო უფრო უნდა განვითარდეს, რაც უფრო გააძლიერებს მუნიციპალიტეტს. სახელმწიფო გლეხებსა და ფერმერებს არაერთ საინტერესო პროგრამას სთავაზობს. ბევრი სარგებლობს კიდეც, მაგრამ ინფორმაციის მეტად მიწოდებაა საჭირო. მაქვს იდეა, შევქმნათ მუნიციპალიტეტთან არსებული საკონსულტაციო სერვისცენტრი, რომელიც მოქალაქეებს დაეხმარება პროგრამების გარკვევაში და ვიქნებით შუამავლები ცენტრალურ უწყებებთან.

**– ანუ, ფიქრობთ, ახალციხის განვითარების მთავარი პერსპექტივა სოფლის მეურნეობაა?**

– არა მხოლოდ... ახალციხეს, ტურისტული მიმართულებით განვითარების უდიდესი პოტენციალი აქვს. ახალციხის ციხის ტერიტორია უნიკალური უბანია, სადაც 5 აღმსარებლობა იყრის თავს. მისი კიდევ უფრო განვითარება, პოპულარიზაცია აუცილებელია. ტურიზმის ხელშეწყობა ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაც აქტიურად მიმდინარეობს. მაგალითად, აწყურის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაცია იყო თაობების ოცნება, მისი აღდგენა/რეაბილიტაცია დიდ თანხებთან გახლდათ დაკავშირებული. ქართუ ფონდისა და ბატონი ბიძინა ივანიშვილის სრული მხარდაჭერით კომპლექსი დასრულების ეტაპზეა. ასევე მიმდინარეობს თისელისა და ბიეთის მონასტრების რეაბილიტაცია, ეს სამი ტაძარი და იქ არსებული ციხესიმაგრეები შექმნის უნიკალურ ტურისტულ კომპლექს, რაც მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ხელისუფლება რეგიონებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და დარწმუნებული ვარ, გუნდთან ერთად, ბევრ მნიშვნელოვან პროექტს განვახორციელებ.

**– მოგეცემათ ამის საშუალება? და საინტერესოა, ეთნიკური მრავალფეროვნებით გამორჩეულ მუნიციპალიტეტში, ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერის იმედიც თუ გაქვთ?**

– დარწმუნებული ვარ, ჩემი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მხარს დამიჭერს და არჩევნებში დამაჯერებლად გავიმარჯვებ!



# ოჯახი – ირაკლი ლაზარაშვილის კომფორტის ზონა

ირაკლი ლაზარაშვილის მეუღლე, ნინო ხუციშვილი წარმოშობით ახალციხელია. 13-14 წლის იყო, როცა ერთ დღეს ქუჩაში გოგო შეამჩნია და მოიხიბლა. გაიკითხა, გამოიკითხა და აღმოაჩინა, რომ არაერთი საერთო მეგობარი ჰყავდათ. სწორედ მათი დახმარებით, ერთმანეთს პირველად, ახალციხის ცენტრში, თამარ მეფის ძეგლთან შეხვდნენ.

საუკეთესო მეგობრები გახდნენ, თუმცა ერთმანეთი ყოველთვის მოსწონდათ. გარკვეული პერიოდი მათი გზები გაიყარა. ოღონდ დროებით – უმაღლესი სასწავლებლების დასრულებამდე. ნინომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი დაამთავრა და 15 წელზე მეტია პარლამენტში, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში მუშაობს.

წყვილს 2 ვაჟი ჰყავს: 9 წლის ზურაბი და 7 წლის დავითი. დავითს სახელი ძმამ დაარქვა – აიჩემა „დათუნია“ მინდა ერქვასო. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 2 წლით უფროსია, შეიძლება ითქვას, ზურაბი ძმას თავად ზრდის. ბიჭები ძალიან მხიარულები არიან, არასოდეს იწყენენ, ერთმანეთს ართობენ და ეთამაშებიან.

კანდიდატს ძალიან უყვარს მოგზაურობა და საქართველოს კუთხეები შემოვლილი აქვს. თუმცა გადატვირთული გრაფიკის გამო, შაბათობით „ოჯახის“ დღეს იწყობს ხოლმე – ტელევიზორს უყურებს და ისვენებს, ცხადია, ბიჭების ყიჟინისა და ცელქობის ფონზე. მისი მთავარი კომფორტის ზონა ოჯახია. აქ, ნინოსა და ბიჭების გარემოცვაში, თავს ყველაზე მშვიდად და ბედნიერად გრძნობს. მსგავსი ბედნიერება მეგობრებთან ყოფნის დროსაც ეუფლება ხოლმე. იცის, რომ მერობის შემთხვევაში, თავისუფალი დრო ნაკლებად ექნება, როგორც ოჯახისთვის ისე მეგობრებისთვის, რადგან გუნდთან ერთად მშობლიური, საყვარელი ახალციხისთვის, ბევრი კარგი საქმის გაკეთებას გეგმავს.



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**



**2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.**

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ახალციხის მუნიციპალიტეტზე** გამოიყო 38 695 307 ლარი, დაფინანსდა 72480 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (3 460 821,1 ლარი, 211 667 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (3188575 ლარი, 41821 მეტი შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (24580308 ლარი, 17 587 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (5 684 779 ლარი, 5 544 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1825715 ლარი, 3185 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1740253 ლარი, 3194 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, ახალციხეში დაფინანსდა 2710 ბენეფიციარი (60 916 ლარი).

2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. მუნიციპალიტეტში 86,8%-ია იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, ახალციხეში, პროგრამით, 73-მა პაციენტმა სტაციონარული მკურნალობით (250 569 ლარი) ისარგებლა, ამბულატორიული მომსახურებით – 548-მა (58082 ლარი). **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, ახალციხეში, ანტენატალური სერვისი 5 786-მა ორსულმა მიიღო (318293 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილია – 1630.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ახალციხეში მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 324 პირი (55 262 ლარი).**

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **მუნიციპალიტეტს 46 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ქ. ვალეში „ჯამრთელობის სახლის“ რეაბილიტაცია (235 734 ლარი), ამბულატორიების მშენებლობა სოფ. ურაველში (114 550 ლარი), კლდეში (99 532 ლარი), ღრელში (85 225 ლარი), საძელში (104 400 ლარი), აგარაში (95 649 ლარი), თისელში (80 340 ლარი), ხეოთში (87 368 ლარი), სრული რეაბილიტაცია სხვილისში (61 084 ლარი), პატარა პამაჯში – (17 930 ლარი); სოფელ დიდ პამაჯში ამბულატორიის რეაბილიტაცია (8 594 ლარი).

**დევნილები** – ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №133, ბინების სრული რეაბილიტაცია (66 ბინა) – 763 983 ლარი. ნაწილობრივი რეაბილიტაცია, წყალმომარაგება და საბავშვო სკვერის მოწყობა – 163 900 ლარი.

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება 1,5-ჯერ გაიზარდა, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები – 104,8 ათასიდან 160,8 ათას ლარამდე.**

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება** სამედიცინო მომსახურების დაფინანასება, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება სადიაგნოსტიკო გამოკვლევები, გეგმური და ურგენტული ოპერაციების თანადაფინანსება/დაფინანსება. ონკოლოგიურ დაავადებათა მქონე მოქალაქეთა მკურნალობის (მათ შორის მედიკამენტოზური მკურნალობის) თანადაფინანსება/დაფინანსება. მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება. თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა დახმარება. მოსახლეობის სამედიცინო მკურნალობის დაფინანსება.

## ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები.




41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის,** რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არაუმეტეს 100 კვტ/სთ). **ახალციხის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (1.04.2021 წ. მდგომარეობით) 7560 პირი. 2012 წლის შემდეგ, 2.2-ჯერ – 9 219 123-დან 20 536 836 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 129 129 120 ლარი დაიხარჯა.

2013 წლიდან დაზუსტდა სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ახალციხის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებია (1.04.2021 წლის მდგომარეობით) 289 პირი. 2012 წლის შემდეგ, სახელმწიფო კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4.3-ჯერ - 300 825 ლარიდან 1 308 820 ლარამდე გაიზარდა და 2013-2021 წლებში სულ გაცემულია 8 365 580 ლარი.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვა შემწეობები. **ახალციხის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 836 (1.04.2021 წ. მდგომარეობით) ოჯახი. 2012 წლის შემდეგ, საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 1 180 ათასი ლარიდან 1 627 ათას ლარამდე გაიზარდა და 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 12 555 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 3 097 ათასი, შშმ პირებზე – 1 284 ათასი, ბავშვებზე – 4 728 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტით სარგებლობს 1838 მიზნობრივი ჯგუფი. 2012 წლის შემდეგ, 5,7-ჯერ – 483 823 ლარიდან 2 735 213 ლარამდე გაიზარდა გაწეული ხარჯი, 2013-2021 წლებში სულ გაცემულია 17 083 456 ლარი.

**ახალციხის მუნიციპალიტეტში** 283 დევნილია (1.04.2021 წ. მდგომარეობით). 2012 წლის შემდეგ, დევნილთა შემწეობებზე გაწეული ხარჯი 82 876 ლარიდან 157 095 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში, დაიხარჯა სულ 1 163 314 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, **განსახლების პროგრამებით,** საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, აქედან **ახალციხეში** დაკმაყოფილდა 473 ოჯახი – 34 ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, „სოფლად სახლის" პროექტით სახელმწიფომ სახლი 5 დევნილ ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 68 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.

**დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ახალციხეში დაფინანსებულია 226 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომარეობით), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 159 999 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 444 200 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ახალციხის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილია – 1 829 518 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). 2020 წელს, პროგრამაში, **ახალციხეში** ჩართული იყო 760 ოჯახი, 2021 წელს – 846 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით ახალციხეში, 2020 წელს ისარგებლა 171-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 190-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** დამატებით გამოყოფილია 100 ლარი. მუნიციპალიტეტში პროგრამით ისარგებლა 2020 წ. 495-მა, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 487-მა პირმა.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის, 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთვის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, სოციალური დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები 797,5 ათასიდან 1 183.7 ათას ლარამდე გაიზარდა.**

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა,** მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარების, სოციალურად დაუცველი პირების, უსახლკაროების კვებით უზრუნველყოფა, ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება, იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება, ქალაქ ახალციხეში მგზავრთა გადაყვანის შეღავათის პროგრამა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების სოციალური დახმარება, ახალციხის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსება, ახალციხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებში სოციალური შეღავათების მქონე პირთა? შვი?ლებისათვის სოციალური დახმარება და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

**მუნიციპალიტეტის პროგრამას – შშმ პირთა სოციალური დახმარება – დაემატება ორი ქვეპროგრამა/პროექტი:**

- შშმ პირების რეკრეაცია და რეაბილიტაცია რეადაპტირებულ გარემოში (დასასვენებელ სახლში), ქვეპროგრამის/პროექტის მიზანია – შშმ პირთა ფიზიკური და ფსიქიკური გაჯანსაღებისთვის სპეციალური გარემოს შექმნა, მათთვის ფიზიკური, გონებრივი და სოციალური პოტენციალის შესანარჩუნება, რათა თანაბრად ხელმისაწვდომი გახდეს მათი საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში დამოუკიდებლად ჩართვა და მონაწილეობის მიღება (ბიუჯეტი: 2021 წ. გეგმა – 2400 ლარი, ბენეფიციარი – 10).
- უსინათლო პირების გადამზადება, ხმოვან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში; (ბიჯეტი 2021 წ. გეგმა/ფაქტი – 4480 ლარი, ბენეფიციარი – 5).



ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.



სოფელ წყრუთის საბავშვო ბაგა-ბაღი

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.**

**ახალციხეში ფუნქციონირებს 26 მუნიციპალური საბავშვო ბაღი** (მათგან 1 ბაგა და 7 საბავშვო ბაღი ქ. ახალციხეში, 2 საბავშვო ბაგა-ბაღი ქ. ვალეში, 16 ბაგა-ბაღი კი სოფლად). **2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო.** ახალციხეში მნიშვნელოვნად **გაიზარდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება:** 2020 წელს, განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 4 მლნ 904.5 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 1,3 მლნ ლარი იყო.

**2014-2021 წლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად აღიჭურვა,** ქ. ახალციხის №1, ქ. ვალეს №1 საბავშვო ბაგა-ბაღები (574 944 ათასი ლარი), ხოლო ქ. ახალციხის №1 ბაგა-ბაღის ეზო შემოიღობა და კეთილმოეწყო (2,1 მლნ ლარი); დასრულდა ქ,ახალციხის №1, №3, №5, №6 საბავშვო ბაღების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესობის პროექტები (1,6 მლნ ლარი). რეაბილიტირდა 13 ახალი საბავშვო ბაღი (ქ. ვალეს №2, ფერსის, წნისის, მინაძე-ჭაჭარაქის, ურავლის, წყალთბილას, პატარა პამაჯის, კლდის, წინუბნის, საძელის, სვირის, ანდრიაწმინდის, ელიაწმინდის ბაღები). 2020 წელს შესყიდულია და მოეწყო ატრაქციონები სვირის, საძელისა და აწყურის საბავშვო ბაღის ეზოებისთვის (52, 9 ათასი ლ); **დასრულდა:** სოფ.ელიაწმინდის ადმინისტრიციული შენობის II სართ. არსებული საბავშო ბაღის რეაბილიტაცი – (31, 7 ათასი ლ); 2021 წელს ელიაწმინდის ალტერნატიული საბავშვო ბაღი გადაკეთდა ტიპურ საბავშვო ბაღად; გაიხსნა სვირის საბავშვო ბაგა-ბაღი; **მიმდინარეობს** სოფ. წყრუთის საბავშვო ბაღის (ადაპტირებულია შშმ პირებისთვის), სხვილისის საბავშვო ბაღის და ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. №126, ბაღების მშენებლობა.

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 1134-დან 2012-მდე გაიზარდა. 9 საბავშვო ბაღში დასაქმებულია 15 სპეციალური აღმზრდელი. კვების თანხა თითოეულ აღსაზრდელზე 20-დან 42,90 ლარამდე გაიზარდა, რითაც სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი. 26 ბაღში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია მუნიციპალიტეტის ბაღების 35 ჯგუფში, სადაც 560 ბავშვია. საბავშვო ბაღებში ირიცხება 224 აღმზრდელი და 91 აღმზრდელის თანაშემწე( სასკოლო მზაობის ჯგუფებში 102 პედაგოგი).

**2017 წლიდან დღემდე,** ახალციხის მუნიციპალიტეტში, გაიხსნა 7 ახალი საბავშვო ბაღი. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3-ს. გრძელდება ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების“ განათლების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები, ტარდება ტრენინგ-მოდულები.

## ზოგადი განათლება

**ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 38 საჯარო სკოლა, აქედან ქალაქში – 11 სკოლა (ქა-**

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**ლაქი ახალციხე, ქალაქი ვალე) და სოფელში – 27 სკოლა, მათ შორის, 22 მთის სტატუსის მქონე დასახლებებში.**

მუნიციპალიტეტში 9 – საბაზო სკოლაა, 25 – ქართულენოვანია, 2 ქართულ–სომხურენოვანი სექტორით, ერთი ქართულ–რუსულენოვანი სექტორით და 11 სომხურენოვანი, №7 საჯარო სკოლა წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სკოლა-პანსიონს, ეს არის ამ ტიპის ერთადერთი სკოლა-პანსიონი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, და სწავლობს რეგიონში შემავალი რაიონებიდან ჩამოსული 28 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 6 300 მოსწავლე, 900 პედაგოგი და 22 სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ იდენტიფიცირებულია 91 სსსმ მოსწავლე. არაქართულენოვან სკოლებში, ქართულის, როგორც მეორე ენის, შესწავლის ხელშესაწყობად, დასაქმებულია 30 მასწავლებელი. 6 საჯარო სკოლას ემსახურება 15 მანდატური.

**ახალციხეში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, სამინისტრომ განხორციელა არაერთი პროგრამა, მათ შორის: საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით,** ახალციხის მუნიციპალიტეტში, ყოველწლიურად 20 საჯარო სკოლის 584 მოსწავლე სარგებლობს (36 მიმართულება). 2017-2020 წლებში, პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** 1832 პირველკლასელს და 145 დამრიგებელს, 191 წარჩინებულ მოსწავლეს გადაეცა **პორტაბელური კომპიუტერი;** სამედიცინო კაბინეტი მოწყობილია 11 სკოლაში. საჯარო სკოლებში 140 599 სახელმძღვანელო და რვეული, 1 885 **სასკოლო ჟურნალი** დარიგდა; **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფილია** 36 საჯარო სკოლა, კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით – 25;

2013-2021 წლებში, **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით**, **განხორციელდა 2013 წელს –** ნაწილობრივი რეაბილიტაცია 5 საჯარო სკოლაში (419,0 ათასი ლ), **2014 წელს** – 10 სკოლაში, მოეწყო 2 სკოლის სამედიცინო ოთახები (სულ 597,7 ათასი ლ); დაფინანსდა პროფესიული კოლეჯი „ოპიზარი” (729,0 ათასი ლარი) და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (847,9 ათასი ლარი); **2015 წელს** – ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11 საჯარო სკოლას, 3 სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახები (717,5 ათასი ლ); **2016 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 საჯარო სკოლას, 2 სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახები (71,3 ათასი ლ); **2017 წელს** ჩატარდა – სრული რეაბილიტაცია ქ. ვალეს №1 საჯარო სკოლაში და სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის სკოლებში (447,7 ათასი ლ); **2018 წელს** ჩატარდა სრული რეაბილიტაცია, სპორტული მოედნის მშენებლობა და ეზოს კეთილმოწყობა ქ. ახალციხის №1 საჯარო სკოლაში; ნაწილობრივი რეაბილიტაცია – თისელის, ქ. ახალციხის №3, სვირის, ღრელის საჯარო სკოლებში; **2019 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა – ქ. ახალციხის №2, №5 №6 , ანდრიაწმინდის, ურავლის, აწყურის, წყრუთის, მინაძის, ანის, სვირის საჯარო სკოლებში; შშმ პირებისთვის ადაპტირებული სან.კვანძები მოეწყო სოფელ საყუნეთის, აგარის, ზიკილიის, წნისის საჯარო სკოლებში (85,6 ათასი ლ); ქ. ვალეს №2 საჯარო სკოლაში – ცენტრალური გათბობა (66 ათასი ლ); ქ. ახალციხის №2 საჯარო სკოლაში მოეწყო გარეპანდუსი და სარდაფი (19, 1 ათასი ლ); **2020 წელს, 17 საჯარო სკოლაში** განხორციელდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა ღირებულებამ 855 ათასი ლარი შეადგინა. **მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:** სოფ. ჭაჭარაქში, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, 60 მოსწავლეზე გათვლილი, №2 საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა – 1 მლნ 74,985 ათასი ლარი; ქ. ვალეს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 1 მლნ 895 ათასი ლარი.

## პროფესიული განათლება

ახალციხის მუნიციპალიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 2 საჯარო დაწესებულებაა – სსიპ კოლეჯი **„ოპიზარი“** (22 პროგრამა) და **სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**.

2020 წლიდან „ოპიზარი“ **გასცემს სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს.** კოლეჯში ფუნქციონირებს B, C, S და T კატეგორიის მართვის მოწმობის მისაღებად შემსწავლელი კურსები. **კოლეჯი აღჭურვილია ინოვაციური ლაბორატორიით –** ფაბლაბოპიზარი. 2020 წელს მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად კოლეჯი დაფინანსდა **1,9 მლნ ლარით. 2020**-2021 წლებში, **ინფრასტრუქტურული პროგრამის ფარგლებში,** განხორციელდა კოლეჯ „ოპიზრის“ სახელოსნოების სამშენებლო სამუშაოები. კოლეჯი 2016 წლიდან, ეტაპობრივად ახორციელებს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ 14 პროგრამას, რომელთა წარმატებით განხორციელებისათვის **2017 წელს კოლეჯმა მიიღო წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტული და ჯილდო.**

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს** მოპოვებული აქვს 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. **მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად, 2020 წელს,** უნივერსიტეტი დაფინანსდა **115.4 ათასი** ლარით; 2021 წლისთვის, ახალციხის მუნიციპალიტეტში, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 9 პროგრამა ხელმისაწვდომია 3 დაწესებულებაში. **2021 წელს** – შეძენილ იქნა ინტეგრირებული პროგრამების განხორციელებისათვის სრული ლაბორატორია; დასრულდა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებული 4 პროგრამის სახელოსნოების მშენებლობა; კოლეჯს დონორი GIZ ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ გადაეცა 100 ათასი ლარის ინვენტარი/აღჭურვილობა და 20 ათასი ლარის აღჭურვილობა „რეგიონული ტურის მეგზურის“ მომზადება-გადამზადების პროგრამის განხორციელებისათვის.

## უმაღლესი განათლება

ახალციხეში ფუნქციონირებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 1990 წელს დაარსდა, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, 2002 წლიდან თსუ ჯავახეთის ფილიალი. 2014 წელს, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოხდა უპრეცედენტო ფაქტი – სასწავლო უნივერსიტეტმა შეიცვალა სტატუსი, გახდა სამსაფეხურიანი უმაღლესი დაწესებულება – **სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.** 2021 წლის მდგომარეობით, ახორციელებს 24 პროგრამას უმაღლესი განათლების საფეხურზე და 7 პროგრამას პროფესიული განათლების მიმართულებით, ასევე ქართული ენის მომზადების პროგრამას.

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს სამცხე ჯავახეთის რეგიონის** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 ს/წელს, სამცხე ჯავახეთის რეგიონიდან დაფინანსდა 79 სტუდენტი, 2019-2020 ს/წელს – 79, 2020-2021 ს/წელს 79 სტუდენტი.

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- რეფორმის მომდევნო, მრავალმხრივი ეტაპი – სისტემური ცვლილებები ყველასთვის ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის უზრუნველმყოფი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის ჩამოსაყალიბებლად, ხელი შეეწყობა ხელმისაწვდომობის ზრდას ხარისხიან ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე;
- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: 2020-2022 წლებში, განხორციელდება 3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და აშენდება 5 ახალი საბავშვო ბაღი. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება; აგრეთვე, დაგეგმილია ქ. ახალციხის № 2, სოფლების – ანისა (200 ათასი ლ) და სხვილისის (385,3 ათასი ლ) რეაბილიტაცია, წყრუთის, აგარის, ქ. ახალციხის №4 და რუსთაველის №124-ში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და სრული აღჭურვა;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ახალციხეში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არაქართულენოვან სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობას, ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად,
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია. დაგეგმილია ქ. ვალეს №3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (მგფ); 2021 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება გურკელის, სხვილისის და ფერსის სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ჯამურად 75 ათასი ლარი);
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება დაფინანსების ახალი მოდელი და განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**ახალციხის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი კულტურის დაწესებულებები: 14 ბიბლიოთეკა – ქ. ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკა, ქ. ახალციხის საბავშვო ბიბლიოთეკა, ქ. ახალციხის რაბათის ბიბლიოთეკა, ქ. ვალეს საქალაქო ბიბლიოთეკა და 10 სასოფლო ბიბლიოთეკა (აწყურის, მუსხის, ივლიტას, ზიკილიის, ზემო სხვილისის, ურავლის, წყორძის, საყუნეთის, სვირის და კლდის); 4 კულტურის სახლი: ქ. ახალციხის კულტურის სახლი, ქ. ვალეს კულტურის სახლი, სოფელ აწყურისა და სოფელ სხვილისის კულტურის სახლები; სოფელ მუსხის სკოლა-მუზეუმი; 3 სამუსიკო სკოლა: ა(ა)იპ ქ. ვალეს სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ სოფელ აწყურის სამუსიკო სკოლა და ა(ა)იპ ქ. ახალციხის სამუსიკო სკოლა; 11 ახალგაზრდული ცენტრი (მუსხის, ივლიტის, ზიკილიის, ზემო სხვილისის, ურაველის, წყორძის, საყუნეთის, გიორგიწმინდის, წყალთბილასა და გურკელი-წინუბნის); მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სსიპ მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი და სსიპ ახალციხის თოჯინების სახელმწიფო თეატრი, სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი.**

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროს დაფინანსება. 2013 წლის ბიუჯეტით, კულტურის სფეროს ხარჯები განისაზღვრა 505,7 ათასი ლარით, 2020 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა 1 მლნ 52,9 ათასი ლარი შეადგინა.

2014-2021 წლებში, **გაიხსნა 9 ბიბლიოთეკა** (მუსხის, ურაველის, წყორძის, ზემო სხვილისის, ივლიტის, ზიკილიის, საყუნეთის, სვირის და კლდის) და **11 ახალგაზრდული ცენტრი** (მუსხის, ივლიტის, ზიკილიის, ურავლის, წყორძის, საყუნეთის, გიორგიწმინდის, წყალთბილისა, გურკელი-წინუბნის და მუგარეთის).

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.

2016-2021 წლებში, სამინისტროს ხელშეწყობით, ქალაქ ახალციხესა და მუნიციპალიტეტის სოფელ სხვილისში ხორციელდება პროექტი **„მრავალფეროვანი საქართველო“,** რომლის მიზანია – საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ინფორმირებულობა და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

**2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:** კულტურის სახლების რეაბილიტაცია სოფლებში – აწყური, სხვილისი, ზიკილია, ფერსა და დიდი პამაჯი; ქ. ვალეს კულტურის სახლისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; სოფ. მუსხის სასოფლო კლუბისა და ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია; სოფ. ურავლის კლუბის შენობის სარემონტო სამუშაოები (902,8 ათასი ლარი). **2017 წელს:** დასრულდა საფარის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები (27 ათასი ლარი); კულტურის სახლები შეკეთდა ქ. ახალციხესა და ვალეში, ასევე სოფლებში: აწყური, ფერსა, ივლიტა; შეკეთდა თისელის ღვთისმშობლის ტაძრის სახურავი (10 ათასი ლარი); სოფელ მუსხში რეაბილიტაცია ჩაუტარდა გმირთა მემორიალს (4,6 ათასი ლარი); ჩატარდა ახალციხის სამუსიკო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია (28 ათასი ლარი), გათბობის სისტემა დამონტაჟდა ახალციხის სამხატვრო სკოლაში (8, 9 ათასი ლარი). **2017-2018 წლებში,** რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ახალციხის რაბათის ბიბლიოთეკას, ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და სოფელ სვირის ბიბლიოთეკას (143, 8 ათასი ლარი).

**ახალციხის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „ახალციხის ციხის“** ტერიტორიაზე განხორციელდა საპილოტე სოლარული ფერმის მოწყობის სამუშაოები (232,0 ათასი ლარი) და ზედა კარიბჭესთან არსებული ოთახების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (39, 8 ათასი ლ); პროექტის ფარგლებში, განხორციელდა დაცვისა და გიდების ოთახების კოსმეტიკური რემონტი და გათბობის სისტემის მოწყობა, ასევე ციტადელის კოშკთან ქვაფენილისა და დაზიანებული წყალსადენის რეაბილიტაცია (39,8 ათასი ლარი), ციხის ტერიტორიაზე მდებარე შენობების №49, №52, №53, №54, №56, №57 და №58 ფასადების, ტერასებისა და ქვაფენილების რეაბილიტაცია (76,9 ათასი ლ);

2016-2017 წლებში, **განხორციელდა:** სსიპ ახალციხის **თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის** შენობის რეაბილიტაცია, სცენისა და დარბაზის ტექნიკური აღჭურვა, განათება-გახმოვანების სისტემის მოწყობა; 2018 წელს – სამცხე-ჯავახეთის **ისტორიის მუზეუმის** რეაბილიტაცია, **მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო** დრამატული თეატრის მცირე სცენის პლანშეტის, გახმოვანებისა და სასცენო მექანიზმების მოწყობის სამუშაოები (74,4 ათასი ლ); თეატრის მცირე დარბაზის კაპიტალური რემონტი (81, 9 ათასი ლ); თეატრის მცირე დარბაზის „კიბის უჯრედი“ სარემონტო სამუშაოები (10,7 ათასი ლარი); მომზადდა თეატრის მფლობელობაში არსებული შენობის (ახალციხე, თამარ მეფის ქ. №6) რეაბილიტაციის პროექტი მომზადება (343,7 ათასი ლ); **2021 წელს მიმდინარეობს** ქ. ახალციხეში, კეცხოველის ქ.№6, სამხატვრო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (294 998 ლარი). **„ქართუ ფონდის“ დაფინანსებით გრძელდება:** აწყურის ღვთისმშობლის ტაძრისა (15 მლნ ლარი) და აწყურის ციხის სრული რეაბილიტაცია (4,4 მლნ ლარი). თისელის წმ. გიორგის გუმბათიანი ტაძრის სრული რეაბილიტაცია (440 ათასი ლ); სოფელ გურკელში ბიეთის ტაძრის სრული რეაბილიტაცია – 889 ათასი ლარი; სოფელ ურავლის აგარის სამონასტრო კომპლექსის სრული რეაბილიტაცია (220 ათასი ლარი);

**მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში,** ახალციხის მუნიციპალიტეტში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ განახორციელა: **2013 წელს** – აწყურის ციხის გალავნის ჩრდილოეთ კედლის რეაბილიტაცია (35 ათასი ლ); **2014 წელს** – საფარის მთავარი ტაძრისა და სამრეკლოს რეაბილიტაციის I ეტაპი (42,7 ათასი ლ), თისელის გუმბათიანი ეკლესიის რეაბილიტაციის I ეტაპი (57 ათასი ლ); **2015 წელს** – საფარის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის რეაბილიტაციის II ეტაპი (60,0 ათასი ლ), თისელის გუმბათიანი ეკლესიის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი (70,0 ათასი ლ); სსიპ მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაცია (123,5 ათასი ლ); სსიპ ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის სარეაბილიტაციო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება (7 ათასი ლ); თეატრების ხელშეწყობა (დრამატული და თოჯინების თეატრი) სადადგმო და საგასტროლო ხარჯებით (20 ათასი ლ); **2016 წელს** – თისელის გუმბათიანი ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები (100 ათასი ლ); თისელის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის დროებითი გადახურვის სამუშაოები (10 ათასი ლ); თისელის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის კედლის მხატვრობის პირველადი გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები (5 ათასი ლ); აწყურის ახალაღმოჩენილი ეკლესიის არქეოლოგიური მომსახურება (12 ათასი ლ), სსიპ ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის ძველი შენობის საპროექტო სამუშაოები; სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის რეაბილიტაცია (20,7 ათასი ლ). **2017 წელს** დასრულდა სსიპ ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები (400 ათასი ლ). სამინისტროს დაფინანსებით მომზადდა სსიპ ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის სცენის აღჭურვის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა (5 ათასი ლ). **2018 წელი** – მომზადდა ჯაყისმანის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლოს და არსებული ნანგრევების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; დასრულდა საფარის სამონასტრო კომპლექსის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები (IV ეტაპი, 25,5 ათასი ლარი); **2019 წელს** შემუშავდა სოფ. თისელის ღვთისმშობლის სახ. ეკლესიის გაწმენდითი სამუშაობის პროექტი და, ეკლესიის II ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, განხორციელდა ეკლესიის გაწმენდითი სამუშაობი (47 934 ლ).

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის **ახალციხის მუნიციპალიტეტში,** კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები **„უძველესი ცივილიზაციების კვალდაკვალ“** (9,825 ლარი) და „მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხვა და შესწავლა“ (19 750 ლარი). ახალციხის მუნიციპალიტეტს ფარავს ევროპის საბჭოს **„ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი“** და სამინისტროს სერტიფიცირებული მარშრუტი „წმ. ანდრიას გზა“, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.



ქალაქი ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №124, კულტურის სახლი

## სპორტი

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ ქალაქ ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლა და ა(ა)იპ ახალციხის მძლეოსნობის სასპორტო კლუბი.**

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება** – 2013 წელს სპორტის ხარჯები შეადგენდა 218 ათას ლარს, 2020 წელს – 610,6 ათასი ლარით განისაზღვრა.

ახალციხეში **სპორტის პრიორიტეტული სახეობებია:** მძლეოსნობა, კრივი, ჭადრაკი, ძალოსნობა, თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი, რაგბი, კალათბურთი, ველოსპორტი და კიკბოქსინგი. სასპორტო სკოლაში იყო სპორტის 8 სახეობა -12 ჯგუფით. 2021 წელს არსებულის ბაზაზე შეიქმნა კლუბები და დღეისათვის ფუნქციონირებს 12 კლუბი – 22 ჯგუფით (22 მწვრთნელი) და ირიცხება 360 მოსწავლე. შთამბეჭდავია მათი შედეგები რეაგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში. 2021 წ. მიმდინარეობს **მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა.**

**2014-2021 წლებში, განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი:**

**2019 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ მოედნებს** სოფ. გურკელში (70,7 ათასი ლ), საყუნეთში, ქ. ვალეში (თამარ მეფის, ფარნავაზ მეფისა და სტალინის ქუჩების მიმდებარედ), ქ. ახალციხეში (თამარაშვილის №41-ის, ასპინძის, ბარათაშვილის და კოსტავას №77 ქუჩების მიმდებარედ) – ჯამურად დაიხარჯა 184 ათასი ლარი; შემოიღობა სოფელ ივლიტასა (36, 6 ათასი ლ) და სოფ. გიორგიწმინდის (39, 9 ათასი ლარი) სპორტული მოედნები. **მოეწყო გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები** (მონტაჟი და ტრენაჟორებისათვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და მოედნის

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

მოწყობა): ქ. ახალციხეში ხელოვნური ტბის და 9 აპრილის ქუჩის მიმდებარედ (38, 6 ათასი ლ), თამარაშვილის ქ. №4-ის და ასპინძის ქ. №38-ის მიმდებარედ (36, 9 ათასი ლ); ე.წ საბარგო სადგურის დასახლებაში და მიქუტიშვილის №10-ის მიმდებარედ (37, 7 ათასი ლ), კოსტავას ქ. №165-179 კორპუსებს შორის სკვერში და 9 აპრილის ქ. 9-სართულიანი კორპუსების მიმდებარედ (41, 4 ათასი ლ), ქ. ვალესა და სოფ. აწყურში (39,4 ათასი ლ).

**2020-2021 წელს განხორციელდა** სოფელ ურავლის სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები (55 ათასი ლარი). აგრეთვე, სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა სოფლებში: აწყური, ანი, კლდე, წირა, ქვინთა, მუსხი, ახალციხე (ხანძთელის ქუჩა, №5 სკოლა, ზარზმელის ქუჩა)

2013-2021 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, **სპორტულმა ფედერაციებმა** მუნიციპალიტეტში 7 შიდაჩემპიონატი (27,4 ათასი ლ) და 5 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება (34,9 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ დააფინანსა 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა (14,4 ათასი ლ) და შეიძინა მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი (10,0 ათასი ლ).

**2021 წელს** მოეწყობა ინფრასტრუქტურა ტბის მიმდებარედ და რუსთაველის №124-ის ტერიტორიაზე. ასევე, კლდეში, აგარში, აწყურში, ურაველში, ზ/სხვილისში, წირაში – 2021 წელს დაგეგმილია სტადიონების მოწყობა.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის სფეროში, ხელისუფლებამ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** „საინფორმაციო კამპანიები ნარკომანიისა და თამბაქოს წინაღმდეგ“, „წიგნი ყველა სოფელს“ და „შემოსე თანამოქალაქე“.

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით**, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს პროექტები, რომელთა მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების ინფორმირება, ჩართულობისა და ნდობის გაზრდა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში.

2018 წელს, ახალციხის საკრებულომ დაამტკიცა **ახალგაზრდობის პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.** 2018-2020 წლებში, განხორციელდა სხვადასხვა პროგრამა: იდეების კონკურსი, მოხალისეთა პროგრამა, დასუფთავების აქციები, საგანმანათლებლო ბანაკები, მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსი, ესეების კონკურსი, მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები, ტრეინინგები და რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი.

**2020 წელს –** ჩატარდა ახალციხეში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროების რაოდენობრივი კვლევა; გადამზადდა ახალციხის მერიის ახალგაზრდული სამსახურის 2 თანამშრომელი; სტრასბურგში საერთაშორისო სემინარში მონაწილეობა მიიღო ახალციხის ახალგაზრდული სამსახურის ერთმა და ახალციხეში მომუშავე ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთმა წარმომადგენელმა; ახალგაზრდული მუშაკების გადამზადების სერტიფიცირების პროგრამაში ჩაერთო ახალციხის პროფესიულ სასწავლებელი „ოპიზარი“ და გადამზადდა 2 ახალგაზრდული მუშაკი; საპილოტედ შეიქმნება და დაინერგება ახალციხის ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები. **2021 წელს** ახალციხეში არსებულ ახალგაზრდულ სივრცეს გადაეცა საჭირო ინვენტარი.

**ახალციხის მუნიციპალიტეტში, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით გატარდება შემდეგი ღონისძიებები:**

- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- გაგრძელდება თისელის დარბაზული ეკლესიის სარეაბილიტაციო/საკონსერვაციო სამუშაოები (350 ათასი ლარი), აწყურის ღვთისმშობლის ტაძრისა და აწყურის ციხის სარეაბილიტაციო/საკონსერვაციო სამუშაოები და საფარის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის რეაბილიტაცია;
- დაგეგმილია ახალციხეში ივლიტას ღვთისმშობლის სახელობის ეკლესის პროექტირება/რეაბილიტაციის სამუშაოები – 150 ათასი ლარი;
- დაგეგმილია ჯაყისმანის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 350 ათასი ლარი;
- მიმდინარეობს და 2022 წელს დასრულდება აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის სრული რეაბილიტაცია – პროექტს აფინანსებს ფონდი „ქართუ“ (15 მლნ ლარი);
- დაგეგმილია კულტურის სახლების რეაბილიტაცია სოფლებში: წყორძა, გიორგიწმინდა, მუგარეთი, სხვილისი;
- 2021-2022 წლებში, დაგეგმილია ქ. ახალციხის სამუსიკო სკოლის სრული რეაბილიტაცია – 750 ათასი ლარი;
- იგეგმება ქ. ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მშენებლობა;
- იგეგმება ახალციხის სპორტკომპლექსის მშენებლობა – 11 მლნ ლარი;
- 2021 წელს მიმდინარეობს და დასრულდება ახალციხეში, რუსთაველის №124-ში სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის სამუშაოები – 1 332 399 ლარი;
- 2022 წელს დაგეგმილია სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები სოფელ ზიკილიასა და აგარაში – 100 ათასი ლარი;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების (თანმდევი მომსახურება-მონტაჟი და ტრენაჟორებისათვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და მოედნის) მოწყობა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- 2021 წელს ახალციხეში ჩატარდება რეგიონის ახალგაზრდული ფორუმი.

# მართლწესრიგი

## დანაშაულის სტატისტიკა

**2017-2020 წლებში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:**

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წ.წ. კრიმინოგენური მდგომარეობა სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 22 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 16, ანუ 73%, რაც გახსნის მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 8 შემთხვევას არ აღემატება, ხოლო მათი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის **უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.**

## პრობაციონერთა სტატისტიკა

სტატისტიკა მოწმობს, რომ საანგარიშგებო პერიოდში (2017-2020წ.წ.) პრობაციონერთა რაოდენობა, წინა წლებისგან განსხვავებით, კლების ტენდენციით ხასიათდება. მოქმედ პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაულის რიცხვი მცირეა, როგორც წესი, 1-2%-ის ფარგლებშია და არ აღემატება 7,5%-ს (2019 წელს); პრობაციონერთა შორის რეციდივის დაბალი მაჩვენებელი ასევე მკაფიოდ მიუთითებს მუნიციპალიტეტში კრიმინოგენური მდგომარეობის სტაბილურობაზე.

აღსანიშნავია, რომ **2020 წელს, მიუხედავად პანდემიისა, ერთი პრობაციონერი მაინც მონაწილეობდა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში.** სამომავლოდ, სააგენტო გეგმავს, პანდემიის გამოწვევის გათვალისწინებით, ამ პროგრამის გაფართოებასა და ეფექტიანად განხორციელებას. ასევე, განზრახულია, აქტიურად შეეწყოს ხელი მსჯავრდებულთა დასაქმებას ადგილზე, მუნიციპალიტეტში.

## ახალციხის იუსტიციის სახლი და საზოგადოებრივი ცენტრები

**2012 წლის 9 აგვისტოდან ქალაქ ახალციხეში შეუფერხებლად მუშაობს იუსტიციის სახლი, რომელიც მოსახლეობას უკვე 450-მდე სახის მომსახურეობას უწევს;**

იუსტიციის სახლის გახსნის შემდგომ, ახალციხის მუნიციპალიტეტის ყოველ მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, მისთვის კომფორტულ გარემოში, ერთ შენობაში, ზედმეტი დროის ხარჯვის გარეშე და მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში, მიიღოს ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი დოკუმენტები. სწრაფად და მოხერხებულად, ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე, დაარეგისტრიროს უძრავ ნივთზე საკუთრება, განახორციელოს სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია და სხვ. იუსტიციის სახლის მომსახურეობით კმაყოფილების ხარისხი, ჩატარებული კვლევების შესაბამისად – 92%-ს აღწევს, რაც საჯარო მომსახურეობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია, მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო (მაგ. „ლიბერთი“ ბანკის, მაგთიკომის და სხვ.) მომსახურება. საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდგენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას.

**ახალციხის მუნიციპალიტეტში პირველი საზოგადოებრივი ცენტრი, 2016 წლის 25 სექტემბერს, ქ. ვალეში გაიხსნა და შეუფერხებლად მუშაობს.** მას დაემატა 2018 წლის 9 ივლისს გახსნილი **აწყურის საზოგადოებრივი ცენტრიც.**

**ცხ. 1 ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.**

| მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|
| განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 |
| მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 1<br>0 | 0<br>0 |
| გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 4<br>2 | 2<br>0 | 0<br>0 | 1<br>0 |
| ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 2<br>2 | 4<br>4 | 2<br>2 | 3<br>3 |
| ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 2<br>2 | 1<br>1 | 0<br>0 | 0<br>0 |
| სულ<br>მათ შორის გახსნილი | 8<br>6 | 7<br>5 | 3<br>2 | 4<br>3 |

**ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა ახალციხის მუნიციპალიტეტში**

| პრობაციონერთა სტატისტიკა | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ |
|---|---|---|---|---|
| მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა | 155 | 113 | 106 | 100 |
| არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 1 | 2 |
| დანაშაულის რეციდივის შემთხვევები | 2 (1,3%) | 2 (1,8%) | 8 (7,5%) | 2 (2%) |
| სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 1 |
| პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |




# ჩემო ძვირფასებო!

ახალციხე ჩემი მშობლიური მხარეა, აქ ვისწავლე და გავიზარდე. კარგად ვიცნობ ჩემს ქალაქსა და მუნიციპალიტეტს, ვიცნობ აქ მცხოვრებ მშრომელ, მშვიდ და პატრიოტ ადამიანებს, რომლებიც მაღალი ზნეობის, ურთიერთსიყვარულის, პატივისცემისა და ტოლერანტობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენენ.

განსაკუთრებული გრძნობაა, როდესაც მმართველი გუნდი – „ქართული ოცნება“ – ნდობას გიცხადებს და გაქვს შესაძლებლობა, უდიდესი წარსულის, კულტურული ძეგლებით მდიდარი ულამაზეს ქალაქსა და სოფლებს ემსახურო.

დამეთანხმებით, შეუძლებელია, ყველაზე კრიტიკულად განწყობილმა ადამიანმაც კი არ აღიაროს ის უდიდესი პროგრესი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ჩვენმა მუნიციპალიტეტმა განიცადა, თუმცა თქვენ უფრო მეტს იმსახურებთ. ჩვენი რეალისტური ხედვა და კარგად გაანალიზებული გეგმა სწორედ მეტ განვითარებასა და წინსვლაზეა ორიენტირებული.

გამარჯვების შემთხვევაში, მზად ვარ, ახალი ენერგიით შევუდგე საქმეს და ამჯერად, ახალ ამპლუაში ვემსახურო ჩვენს მუნიციპალიტეტს.

დარწმუნებული ვარ, 4 წლის შემდეგ გვექნება შესაძლებლობა, წყლით მომარაგებული და გაზიფიცირებული სოფლების, გალამაზებული და გამწვანებული ახალციხის, ახალი სპორტული მოედნების, კომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მეტი განვითარებისა და კეთილდღეობის შესახებ ვისაუბროთ.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.